ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 5-6

"5" დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-11 დადგენილებაში (ვებ გვერდი: www.matsne.gov.ge 22/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016010) შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" ქვეპუნქტი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 8 დეკემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე